# ცნობის ფურცელი

IV წ. ყოველ დღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— პარასკევი, 10 დეკემბერი 1899 წ. № 983

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მანეთი, თვეში—75 კაპიკი, ცალკე ნომერი 3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის„ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში (ვანქის ქუჩა, № 27) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიაში და ქართველთა წიგ. გამომც. ამხ. კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, სახლი, № 27, მარტირუზოვისა.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— დასაბეჭდი ნაწერები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს
პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა. 11 საათიდან 1 საათამდე (შუა დღით).
ტელეფონი № 372.— ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели“—„Моамбе“

საუკეთესოდ მოწყობილი
სტამბა
წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა
იღებს ყოველგვარ
სასტამბო საქმეებს
სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლში

ნაფიცი ვექილი
გიორგი გვაზავა
გადმოვიდა სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლებში. წ.

ექიმი
შ. ჩიქოვანი
გადავიდა ნიკოლოზის ქუჩაზე, № 25.
ტელეფონი № 629. წ.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვებისა, საქირურგიო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია. საქირურგიო და თვალის ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ქ. ზერრატი.
დედათა ავადმყოფობას—მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და მასაჟისათვის.
სამკურნალოს დირექტორი
ს. ვ. თოფურია
Лѣчебница С. В. Топурія, въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

— 

✦ გუშინ, 9 დეკემბერს, მთავარ-მართებლის კანცელარიამ დაამტკიცა „ცნობის ფურცლის“ დროებით რედაქტორად „მოამბის“ რედაქტორი ალ. მ. ჭყონია.

✦ გაზ. „კავკაზ“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. **ნიჟარაძე** და საგანგებო მინდობილებათა მოხელე მთავარ-მართებელთან კამერგერი უგანათ. თავ. **გრუზინსკი** უმაღლესად დაჯილდოებულ იქმნენ წმ. ანნას მეორე ხარისხის ორდენებით.

✦ დღეს, საღამოს 8 საათზე, **კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას** კრება აქვს. სხვათა შორის კრებაზე თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი წაიკითხავს თავის მოხსენებას თელავში მომხდარ მევენახეთა კრების შესახებ.

✦ „კავკაზ“-ს გაუგონია, რომ ცნობილს მილიონერს **მანთაშევს**, რომელმაც ამას წინად შეიძინა თავ. მუხრანსკის სახლი ტფილისში და ვეებერთელა მამული ბორჩალოს მაზრაში, ყურადღება მიუქცევია ტფილისის მიდამოზედაც: მას უყიდნია ვერის გაღმა, საითკენაც ეხლა ქალაქი მიიწევს, 24 დესეტინა მიწა.

✦ „ტფ. ფურცლის“ სიტყვით, განზრახულია მოიწვიონ ტფილისში ამიერ-კავკასიის **საგუბერნიო და საოლქო ინჟინერთა კრება**. კრებას საგნად ექნება განიხილოს გზების გაუმჯობესობის საქმე ჩვენში.

✦ პეტერბურგში შემდგარა რუს-მეცნიერთა წრე, რომელსაც საგნად დაუსახავს ამიერ-კავკასიის მკვიდრთა **ყოფა-ცხოვრების შესწავლა**. მათ შუამდგომლობა აღუძრავთ მთავრობის წინაშე,—დახმარება აღმოგვიჩინე ფულითაო.

✦ გორის მაზრის სოფელ გვრივიდან ატყობინებენ „კავკაზ“-ს, რომ იქ ამ ჟამად **საქონლის ჭირი** მძვინვარებს. 21 სული უკვე დახოცილა, 25 ავათ არის და 48 მოკლულ უნდა იქნას.

✦ **პარიზის მომავალ გამოფენაზე** კავკასიის სამოსწავლო ოლქიდან გაიგზავნება სახელმწიფო ხარჯით 10 მასწავლებელი, უმთავრესად საშუალო სასწავლებლებისა. თითო მასწავლებელს გზის ხარჯად მიეცემა 300 მან.

✦ ტფილისის ვაჭარი **გ. ა. სურობიანცი**, „ტფილისის ფურცლის“ სიტყვით, საგუბერნიო მმართველობამ დაამტკიცა ტფილისის ხელოსანთა მოურავად.

✦ ტფილისის გუბერნატორმა სამოქალაქო დებულების მე-120 მუხლის ძალით საბჭოს თავმჯდომარედ დაამტკიცა **გ. მ. ალიხანოვი**, ყოველ იმ შემთხვევისათვის რომელიც აღნიშნულია დასახელებულ მუხლში.

✦ საერო განათლების მინისტრმა 26 მაისს 1899 წ. უმაღლესის ბრძანების ძალით ნება დართო: ქალაქ ტფილისის ხარჯით გახსნილ ერთ პირველ დაწყებითი სკოლას ეწოდოს სახელი მწერალის **ბ. გ. ბელინსკისა**; ხოლო ორს სკოლას, სახალხო სამკითხველოს, და 4 სტიპენდიას ადგილობრივ გიმნაზიებსა და სამასწავლებლო ინსტიტუტში—სახელი მწერალის **ა. ს. პუშკინისა**.

✦ ქალაქის გამგეობას წინადადება მიეცა, ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც რომელსამე **საქალაქო სკოლის მასწავლებლებს დროებით ითხოვს**, იხელმძღვანელოს კანონთა კრებულის მე-760 მუხლით, რომლის ძალითაც მასწავლებელთა დათხოვნის უფლება აქვს მხოლოდ იმას, ვისგანაც არიან დამტკიცებულნი, ე. ი. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს.

✦ **დიდმა თოვლმა**, რომელიც მოვიდა მთელს ტფილისის გუბერნიაში სრულიად გააფუჭა გზები. ფოსტის მიმოსვლა შესწყდა ტფილისსა და თელავს შუა, ტფილისსა და ბელი კლიჩის შუა, ჯელალ-ოღლისა და კარაკლისის შუა და სხვაგან.

დიდი თოვლი მოსულა აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაში, რის გამო ტელეგრაფი დაზიანებულა ვლადიკავკავისა და როსტოვის შუა.

✦ კავკასიის მევენახეთათვის საყურადღებოა პარიზის სამეცნიერო აკადემიის სხდომაზე ბ-ნის ლოდფრეის-მიერ მოხსენებული ფილოქსერასთან საბრძოლველი საშუალება. 1 კილოგრამი პიკრინის სიმჟავე (пикриновая кислота) უნდა გაიხსნას 90 ლიტრი წყალში; ამ რიგად შეზავებული სითხე სპობს არა მარტო ფილოქსერას, არამედ ვაზის ყოველ გვარ მავნე მწერს. ასეთივე სითხე ანთავისუფლებს ხეებსაც მავნე მწერებისაგან. ერთი ლიტრი ასეთი სითხე ჯდება 4 სანტიმამდე, ესე იგი 1 კაპეიკზედ ცოტა მეტი („ივერია“)

✦ ტფილისის გუბერნატორი დაეკითხა ქალაქის გამგეობას—აქვს თუ არა ქალაქს **უმრავ-მოძრავ ქონებათა სია** (ინივენტარი) და თუ არა აქვს—რა არის ამის მიზეზი.

## წვრილი ამბავი

— 

**ხანგრძლივი სიცოცხლე.** ბელგოროდის ახლოს (კურსკის გუბ.) ამ ხანებში გარდაიცვალა 140 წ. მოხუცებული ფ. იგი დაიბადა ხარკოვში, რომელიც წარსულ საუკუნეში წარმოადგენდა სოფელს. მთელი თავის ხანგრძლივი სიცოცხლე მან გაატარა სამხრეთ რუსეთში, მუდმივ დაიარებოდა პოლტავის, ხარკოვის, რომნის და ბელოგოროდის ბაზრობებზედ სავაჭროდ. მეოც-და-ათ წლებში იგი მივიდა მოსკოვში, მაგრამ იქაურობა მას არ მოეწონა და დაბრუნდა მცირე რუსეთშივე. ფ-ს სამი ცოლი ჰყავდა; ორჯერ გარდაიხადა ქორწინების ოც-და-ხუთი წლის დღესასწაული. უკანასკნელ 8 წელიწადს მოხუცებულს თვალთ დააკლ-

და და ოთახიდან ველარ გამოდიოდა. მიუხედავად უძლურებისა მას საზარლად ჰქონდა სიკვდილის გახსენება და მეტად ჰსურდა მეოცე საუკუნემდის ეცოცხლა. სიკვდილამდის მას შერჩა მეხსიერება და სრული გონება. ხანგრძლივ სიცოცხლეს ფ. მიაწერდა იმას, რომ იგი ყოველთვის სუფთა ჰაერით სუნთქავდა. ასს წელზედ მეტი ის მოგზაურობდა ბაზრობიდან ბაზრობაზედ და მთელ ამ ხანს ის ცის ქვეშ ატარებდა ღამეებს.

**შესანიშნავი მუნჯი ბავშვი.** პეტერბურგში ნოვგოროდის გუბერნიიდან ჩამოსულა ვიღაც მ. ი. სკურიგინი, 12 წ. ბავშვი, რომელსაც შესანიშნავი ლინგვიტიური ნიჭი აქვს თურმე. მიუხედავად მცირე წლოვანებისა მან მშვენივრად იცის ფრანგული, ნემენცური, ინგლისური, ბერძნული, ებრაული და ლათინური ენები და, ამის გარდა უკანასკნელ დროს მას მიუყვია ხელი იტალიურ ენის შესწავლისათვის. სკურიგინი დაბადებით მუნჯია და როგორც სჩანს ამ გარემოებამ აიძულა იგი ნუგეში დ სიამოვნება ეძებნა უცხო ენების შესწავლაში. როდესაც ლაპარაკი დასჭირდება ის სწერს ფრაზებს სპილოს ძვლის დაფაზედ.

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

## 8 დეკემბერი

**პეტერბურგი.** ებოძათ ორდენები: 1-ლ ეკიპაჟის მიჩმანს დიდ მთავარს კირილე ვლადიმერის ძეს მეოთხე ხარისხის წმიდა ვლადიმერის ორდენი; ადმირალს პილკინს—იგივე ორდენი პირველის ხარისხისა; ვიცე-ადმირალებს: კაზნაკოვს—წმ. ალექსანდრე ნეველისა; ვერხოვსკისა და შავის ზღვის ფლოტის უფროსს ტირტოვს—თეთრი არწივისა,—შანცს, აველანს და მესსერს—წმ. ვლადიმერის მეორე ხარისხისა.

**ვიატკა.** 27 გრადუსი ყინვაა; მოსწავლენი განთავისუფლებულნი არიან სკოლაში სიარულისაგან.

**ოდესა.** გემით „ეკატერინოსლავ“ გაემგზავრა მანჯურიაში სანიტართა დასი შავ ჭირთან საბრძოლველად.

**ყაზანი.** საგუბერნიო ერობის კრებამ ერთხმად დაადგინა: მოხსენდეს უქვეშევრდომილესი მადლობა ხელმწიფე იმპერატორს, იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულს და იმპერატრიცას ალექსანდრე თეოდორეს ასულს იმ შემწეობისათვის, რომელიც აღმოუჩინეს გუბერნიის დამშეულ მცხოვრებთ.

**ბერლინი.** გაზეთები იტყობინებიან, რომ 8 დეკემბერს მეტუენმა სცადა გზა გაეკვლია სამხრეთისაკენ მას შემდეგ, როდესაც კრონიემ დაანგრია რკინის გზა ჩრდილოეთისკენ მიმავალი და დაიჭირა ყველა პოზიცია მდ. მოდერზე. მეტუენს გარს შემოერტყა ბურების ჯარი. ორანჟეს მდინარესაკენ მიმავალი გზა შეკრულია ბურებისაგან. შეწყვეტილია აგრეთვე ტელეგრაფის მავთულები.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგ.“ ის ცნობა, ვითომც გენ. ბულლერი გავიდა მდ. ტუგელის გაღმა, არავის არ სჯერა და ჭორად სთვლიან.

**პარიზი.** უმაღლესმა სასამართლომ მოისმინა ჩვენება ახალის მოწმეებისა შაბროლის ფორტის შესახებ. დეპუტატი გავერი, რომელიც აქამომდე იმალებოდა, წარსდგა სასამართლოს წინაშე. სხდომა დაიხურა.

**ებერდინი.** „რეიტ. სააგ.“ კემპბელ-ბანერმანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც შეეხო, სხვათა შორის, ომსაც. ჩვენი მდგომარეობა, სთქვა მან, საშიშოა, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ გამარჯვება მაინც ჩვენი იქმნება. ორატორმა გაჰკიცხა ყველა, ვინც ცუდათ იხსენიებს გენერლებს, რომელნიც მამაცურად ებრძვიან მტერს და განაცხადა, რომ ომი უნდა გაგრძელდეს ენერგიულად.

**ხარკოვი.** სამხრეთისა და ჩრდილოეთის რკინის გზებზე შეწყვეტილია მუდმივი მიმოსვლა თოვლის ზვავების გამო.

**მოსკოვი.** დღეს გრაფი ტოლსტოი სახლიდან გამოვიდა სასეირნოდ.

**ვაშინგტონი.** „რეიტ. სააგენტო“. გენ. ოტისი იუწყება დეპეშით მანილიიდან, რომ გუშინ დილით სასიკვდილოდ დაჭრილ იქმნა გენ. ლაუტონი, როდესაც მას განზრახვა ჰქონდა გაედევნა სან-მატსოდან აჯანყებულნი ფილიპელები.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგ.“ „ტაიმს“ ატყობინებენ ოტავიდან, რომ გამოცემულ პროკლამაციის თანახმად აუარებელი ვოლონტერი მოდის კანადის ყველა კუთხეებიდან.

იმავე გაზეთს ატყობინებენ მალტიდან, რომ გემი „ირისი“ გუშინ წავიდა ალექსანდრიას, საიდანაც გენერალი კიტჩენერი უნდა წაიყვანოს კაპშტადში.

სამხედრო სამინისტროს გენერალ გატეკრისაგან არავითარი ცნობა არ მოსულა.

18 დეკემბერს გენერალმა ფრენჩმა ზარბაზნები დაუშინა გიოფონტენის ფერმას, რომელიც მდებარეობს სამის ვერსის სიშორეზე მტრის ბანაკიდან. ახალ ზელანდიის ჯარმა დაიჭირა ფერმა და მახლობელი გორაკი. ბურებმა მალე ასტეხეს სროლა და მიიტანეს იერიში; ფრენჩმა ბრძანება გასცა, რომ ინგლისელთ უკან დაეწიათ.

**ლორენცო-მარკეზე.** ხმა არის, რომ კოლენზოსთან ბურებმა 13 ურემი, დატვირთული საომარი მასალით, წაართვეს ინგლისელებს.

**ალიკანტე.** „ჰავასის სააგენტო“. ბურუსის გამო ინგლისის გემი „პერსეო“ დაეტაკა საფრანგეთის გემს „მენიეს“. უკანასკნელი დაიღუპა; ეკიპაჟი გადაარჩინეს. გემი „პერსეო“ ძლიან დაზიანდა და როგორც ამბობენ რამდენიმე კაცი დაიხრჩო კიდეც. პერსეო ალიკანტეს მოვიდა.

**მადრიდი.** „ჰავასის სააგენტო“ მთავრობის მოლაპარაკება ოპოზიციასთან, რომ ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულ იქმნას არა უგვიანეს 31 დეკემბრის, უნაყოფოდ დასრულდა.

დრ. რედაქტ. **ალ. ჭყონია.**

---

# გამოსადეგი ცნობანი

## ნიხრი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | —7½ | კ. |
| სუკი | 1 „ | —12 | კ. |
| „ ცხვრისა | „ „ | — 8 | კ. |
| „ კამეჩისა | „ „ | — 5 | კ. |
| „ ღორისა | „ „ | — 5 | კ. |
| „ ღორის ბარკალი სალორეთ | 1 „ | — 9 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარისხ. | 1 გ. | 5 | „ კ. |
| „ „ | II | „ | „ | 3½ | |
| „ „ | III | „ | „ | 3 | „ |
| იგივე თორნისა | I | „ | „ | 5 | „ |
| „ „ | II | „ | „ | 4 | „ |
| „ „ | III | „ | „ | 3½ | „ |
| ლავაში ჯვარის მამ. | I | „ | „ | 6 | „ |
| „ „ | II | „ | „ | 4 | „ |

---

## ტფილისის ბაზრები

| გაიყიდა: | | მეიდნებზე | | ვოკზალზე | |
|---|---|---|---|---|---|
| | ფუთი | მ. | კ. | მ. | კ. |
| ხორბალი საუკეთ. | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი . . | 1 | 1 | 10 | 1 | 5 |
| ქერი . . . . . . | 1 | .. | 80 | — | 77 |
| სიმინდი . . . . . | 1 | — | 75 | — | — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | 20 | — | — |
| „ უ. რო მდარე | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო . . . | 1 | — | 45 | — | — |
| კართოფილი. . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი. . . . . . | 1 | — | 40კ. | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 42 | — | — |
| ბზე . . . . . . . | „ | — | 20 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში (არ არის) მ, შეშა ნარევი 32 მ. ცხვარი თუშისა 5 მ.-დამ 5 მ. 0 კაპ.-მდე, ცხვარი თათრული 4 მ. 40 კ.-დამ 5 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 5 მ.-დამ 6 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური, საკლავი 26 მ.-დამ 36 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, — მ.-დამ — მ.-მდე, კამეჩი საკლავი 25 მ.-დამ 35 მ.-მდე, კამეჩი შესაბმელი —

---

## რუსეთის ბაზრები

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | | | ხარისხი. | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| № 0—9 | მ. | 25 | კ. | № 4—7 | „ | 25 | „ |
| № 1—8 | „ | 50 | „ | № 5—7 | „ | — | „ |
| № 2—8 | „ | — | „ | № 6—6 | „ | 75 | „ |
| № 3—7 | „ | 50 | „ | № 7—6 | „ | 50 | „ |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 44 მ. 46 კ. ქერი როსტოვში 61 კ. 62 კ.-მდე. ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე. მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ ფშხვნილი „ 4 „ 80 „
მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 50 კ—4 მ. 50 კ., იგივე გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60-მდე.

---

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში – 60 მ. თვ.

---

**ქალაქის სამკურნალო,** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ასიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

---

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე-ექიმი მირაქოვი.

---

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

---

**ხარფუხისა,** ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

---

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

---

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის,** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

---

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

---

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

---

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:
1) ვორონცოვის ქუჩა, მეორე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
დიდუბე, სახლი გოლდლიუსტისა.

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

სახალხო მატარებელი № 1 ბაქოდან თბილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ. თბილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ. თბილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან თბილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. თბილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; თბილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ. ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

სახალხო მატარებელი № 2 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., თბილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ., თბილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 სათ. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9 ს. 45 წ. დილით., თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ. ბაქოში მიდის დილის 6 ს. 5 წ.

მატარებელი № 5 თბილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ. ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან თბილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ. თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი ღამის 5 ს. 03 წ., მეორე—დღის 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ. ფოთში მიდის პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე—9 ს. 49 წ. საღ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ. სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 9 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ.. საღამოს 6 30. დილის 8 ს. 45 და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ., დღისით 12 ს. 30 წ.. 3. 50 წ., და 5. 30 წ.

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ. მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 ს. 40 წ. დღისა, მეორე საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის პირველი დღის 4 ს. 31 წ. მეორე—ღამის 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ. მეორე დილის 6 ს. 25 წ. მესამე, დღის 1. 05 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5. 08 წ. მეორე დილის 11. 48 წ. მესამე დღის 4. 40 წ. მეოთხე საღამოს 10. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულაში გადის ღამის 6 ს. 50 ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

ტყიბულიდგან ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ. ქუთაისში მიდის 6 ს. 30 წ. დღისით.

ომნიბუსების მიმოსვლა თბილისსა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბერს 1899 წ. ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.



# განცხადებანი

## „ივერია“

გამოვა 1900 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

ფასი გაზეთისა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | | 6 თვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | | 5 „ | 5 „ 50 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | | 4 „ | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | | 2 „ | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | | 1 „ | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით.

**შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის:**

ვინც გაზეთს ამ თავითვე მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამ გვარად: ხელის-მოწერის დროს 3 მან., პირველ მარტს—2 მან., პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წელიწადში 8 მან. დაეთმობათ, ნახევარის წლით—4 მან.

**გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:**

ტფილისი, „ივერიის“ რედაქცია, ნიკოლოოზის ქ., № 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარ., სასახლის ქ., ქართველთ თავად-აზნაურთა ქარვასლა.

ბაქოში, სადღეგრძელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირდაპირ.

**ფასი განცხადებისა:**

მეოთხე გვერდზე თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ..

ტფილისს გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА.“

ტელეფონი № 227.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**

---

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— „ |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე პატონაშვილისა ლეგენდა-პოემა ბაზაძისა | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვალტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის პ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

---

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

გლეხი-კაცის ისტორია, ერკმან-შატრიანისა:

| | | |
|---|---|---|
| ნაწილი I | საერო კრება | 60 კ. |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II | სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ |
| და ნაწილი IV | მამულიშვილი ბონაპარტი | |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრწყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | | 30 „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | | 30 „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**

დაიბეჭდა და ისყიდება
წერა კითხვის საზოგადოების მაღაზიაში
ახალი ქართული წიგნი

## სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებული ანუ ქრისტომატია
წიგნი შედგენილია
ალავერდის ეპისკოპოზის კირიონისა და გრ. ყიფშიძის-მიერ
ფასი 1 მანეთი
ვინც ათს ცალზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაეთმობა 80 კაპ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფას-დადებით შეუძლიანთ დაიბარონ ამ ადრესით: Тифлисъ. Книжный магазинъ Общества грамотности.



ისტორიული ნარკვევი
ანუ
ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის
შედგენილი
ალექსანდრე ჭყონიასაგან
მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან
საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის
ფასი 1 მ. 50 კაპ.
ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.



Съ 1-го ноября 1899 г.
въ С.-Петербургѣ будетъ выходить
**Большая ежедневная, политическая и литературная газета**
безъ предварительной цензуры

## „СѢВЕРНЫЙ КУРЬЕРЪ“

| | | на годъ | на 6 м. | на 1 м. |
|---|---|---|---|---|
| ПОДПИСНАЯ ЦѢНА съ доставкой и пересылкой: | въ Россіи. | 10 руб. | 5 р. | 1 р. |
| | за границу. | 14 „ | 7 „ | 2 „ |

Годовымъ подписчикамъ допускается разсрочка на четыре срока—по 2 р. 50 к. Лица, подписавшіяся на весь 1900 г. получаютъ газету безплатно въ текущемъ году. Подписка принимается во всѣхъ главныхъ книжныхъ магазинахъ и въ конторѣ редакціи: С.-Петербургъ, Бол. Морская ул., № 5, (отъ 12 до 4 час. дня).

Въ основу своего міросозерцанія „Сѣверный Курьеръ“ полагаетъ идею единства европейской цивилизаціи, не исключающей началъ національной самобытности, и ставитъ своей цѣлью добросовѣстное и безпристрастное изученіе русской жизни и освѣщеніе ея въ духѣ справедливости и развитія гражданственности. Въ этомъ смыслѣ „Сѣверный Курьеръ“ направитъ всѣ усилія, чтобы быть вѣрнымъ выразителемъ прогрессивныхъ стремленій наиболѣе отзывчивой части русскаго общества. Придавая огромное значеніе совершающейся въ Россіи экономической эволюціи въ области землѣделія и промышленности, „Севѣрный Курьеръ“ будетъ внимательно слѣдить какъ за самымъ процессомъ эволюціи, такъ и за всѣми происходящими на этой основѣ измѣненіями въ духовной жизни народа, всюду выдвигая надъ узко-эгоистическими личными и групповыми интересами благо и интересы трудящихся массъ безъ различія сферы приложенія ихъ труда. Серьезное вниманіе будетъ удѣлено выясненію и установленію правильныхъ отношеній между центромъ и окраинами на основѣ полнаго признанія и уваженія правъ личности, національности и началъ вѣротерпимости. „Сѣвернюй Курьеръ“ вѣритъ въ необходимость органическаго роста областнаго начала, желательность дальнѣйшаго разширенія, сферы общественной самодѣятельности и потому отведетъ подобающее мѣсто вопросамъ земскаго и городскаго самоуправленія, областнымъ интересамъ и нужамъ. Не меньшее значеніе придаетъ газета успѣхамъ русской школы и просвѣщенія и въ этой области поставитъ своей задачей сплоченіе и объединеніе усилій разрозренныхъ дѣятелей на просвѣтительномъ поприщѣ. Серьезное вниманіе будетъ удѣлено интересамъ науки, искусства и литературы.

Издатель **кн. В. В. Барятинскій.**

ვ. (5—1) Редакторы: **кн. В. В. Барятинскій. К. И. Арабажинъ.**



ОТКРЫТА ПОДПИСКА
***на издаваемый въ Баку съ ноября 1899 года***
иллюстрированный фототипіями ежемѣсячный журналъ

## „КАВКАЗЪ и СРЕДНЯЯ АЗІЯ“

въ фотографіяхъ и описаніяхъ.
ФОРМАТЪ in quarto.

Подписная цѣна съ пересылкою и доставкою:

| | |
|---|---|
| На годъ . . . . . . | 12 руб. |
| „ ½ года . . . . . . | 7 „ |
| „ 3 мѣсяца . . . . . | 4 „ |
| „ 1 „ . . . . . . | 2 „ |

Учебныя заведенія пользуются 25% скидкой.
Допускается разсроча платежа.

Плата за печатаніе объявленій въ отдѣлѣ публикацій.

| | Впереди текста | Позади текста |
|---|---|---|
| За цѣлую страницу | 50 р. | 30 р. — к. |
| „ ½ страницы . | 30 „ | 20 „ — „ |
| „ ¼ „ . | 15 „ | 10 „ — „ |
| „ ⅛ „ . | 8 „ | 5 „ „ |
| „ 1/16 „ . | 5 „ | 2 „ — „ |
| „ 1/32 „ . | 3 „ | 1 „ — „ |

При многократныхъ публикаціяхъ дѣлается скидка.

Адресъ: Баку, въ контору редакціи „Кавказъ и Средняя Азія“.
ვ. (3—2) Редакторъ-Издатель **А. М. Мишонъ**



## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1900 ГОДЪ
## „СУДЕБНЫЯ ДРАМЫ“.

„Здѣсь одна правда, дѣйствительность во всей своей подчась непригляднои наготѣ“.

*(ТРЕТІЙ ГОДЪ).*

**12 КНИГЪ ВЪ ГОДЪ СЪ ПЕРЕСЫЛКОЙ 4 РУБ.**

Разсрочка только черезъ контору: при подпискѣ 2 руб., въ Апрѣлѣ и Августѣ по 1 руб.

***Контора редакціи—МОСКВА. Остоженка, Савеловскій пер., д. Снегиревой.***

Журналъ по прежнему будетъ помѣщать: Замѣчаельные и загадочные процессы и уголовныя исторіи всѣхъ странъ.—Рѣчи судебныхъ ораторовъ.—Процессы дня.—Біографіи, мемуары и автобіографіи.—Рисунки и портреты.

Редакція обращаетъ особенное вниманіе на помѣщеніе русскихъ процессовъ, имѣющихъ историческое, бытовое и психологическое значеніе. Съ первыхъ Книжекъ журнала начнутся печатаніемъ процессы: Клуба червонныхъ валетовъ, Скопческія дѣла, Игумени Митрофаніи.—Изъ иностранныхъ: *Франкъ-Масонство*, новые мемуары Горона—*Уголовная Любовь*, политическіе процессы, начиная съ дѣла Людовика XVI и др.

Въ 1899 году между прочимъ непечятано: Убійство Генриха IV.—Палата пытокъ.—Біатриче Ченчи.—Дѣло Деруэда.—Процессъ Луи Наполеона.—Дамьенъ.—Вампиръ.—Пэль.—Убійство патера Томаса въ Дамаскѣ.—Разбойникъ Мандренъ.—Робъ-Рой.—Авиненъ и Лемеръ (изъ мемуаровъ Клода).—Замокъ Бредовъ (изъ мемуаровъ берлинскаго сыщика).—*Изъ русскихъ процессовъ*: Похищеніе мощей св. *Димитрія митрополита.—Убійство* Карепиной.—Мошенническое похищеніе денегъ у кн. Амабелекъ.—Изъ тьми деревенской.—Дѣло Мержвинской.

***Въ приложеніи***: Тайна почерка (графологія).—Судебныя ораторы: Марсельеза. Рѣчь Кремье.—Убійство жены. Рѣчь Шубинскаго.—Дѣло Овсянникова.—Рѣчь Жуковскаго.—Судебныя ошибки: Убійство Гая.—Матереубійца.—Дѣло Тальмы.—Убійство Старосельскаго.—Дѣло братьевъ Скитскихъ.—Полныя рѣчи: Громницкаго, Жуковскаго, Карабчевскаго, Миронова, Плевако.—Дѣло Дрейфуса. Пересмотръ въ Кассаціонномъ судѣ. Процессъ въ Реннѣ.—Тисъ-Эстлярскій процессъ. (Ритаульное убійство). Съ портретами и рисунками.

ვ. (5—2) Редакторъ-издатель **Л. Ѳ. Снегиревъ.**



## ПОДПИСНАЯ ЦѢНА
НА ГАЗЕТУ
## „СВѢТЪ“
съ пересылкою и доставкою:

**На четверть года:**

съ 1 января по 1 апрѣля . . . . . . . .
„ 1 апрѣля по 1 іюля . . . . . . . .
„ 1 іюля по 1 октября . . . . . . . .
„ 1 октября, по 31 декабря . . . . . . . . **1 р.**

**На полгода:**
съ 1 января или съ 1 іюля . . . . . . . . **2 —**

**На девять мѣсяцевъ:**
съ 1 апрѣля. . . . . . . . . . **3 —**

**На годъ:**
съ 1 января . . . . . . . . . . **4 —**

**На иные сроки подписка не принимается**

*Примѣчаніе.* подписка на „приложеніе романовъ“ къ газетѣ „Свѣтъ“ принимается лишь одновременно и нераздѣльно съ газетою на одинъ и тотъ же срокъ. Лица, выписавшія одну газету, могутъ получить впослѣдствіи „Приложеніе Романовъ“ не иначе, какъ выписавъ новый экземпляръ газеты съ приложеніемъ“.

**Адресъ редакціи: С.-П.Б., Невскій, 138.**

ვ. (5—1) Редакторъ-издатель **В. В. Комаровъ**


გამომცემელი ვალ. გუნია.